რა გააკეთა რუსეთმა

კავკასიისთვის

რომანოვთა მეფობის დროს.

რომანოვთა
გვარეულობის
300 წლის
მეფობის
იუბილე.

გამოცემა მისი ი. უ. მოადგილის კანცელარიისა.

მისი იმპერატორებითი უმაღლესობა

მემკვიდრე ცესარევიჩი და დიდი მთავარი
ალექსი ნიკოლოზის ძე.

რა გააკეთა რუსეთმა კავკასიისთვის რომანოვთა მეფობის დროს.

1913 წლის 21 თებერვალს სამასი წელიწადი სრულდება იმ დღიდან, როდესაც საუკეთესო რუსებმა თავი მოიყარეს მოსკოვში და მეფედ მიხაილ ფეოდორისძე **რომანოვი** ამოირჩიეს. ამ დღიდან სამასი წლის განმავლობაში რუსეთს განუწყვეტლივ ჰფლობდნენ რომანოვთა გვარის მეფენი. სამი საუკუნეა რაც რომანოვთა გვარეულობა ჩვენი სამშობლოს გასაბედნიერებლად მუშაობს, სამი საუკუნეა, რაც ჩვენი სამშობლოს დღეგრძელობისთვის იღწვის იგი, სამი საუკუნეა, რაც მას რუსეთი კეთილ დღეობისა და ბუმბერაზობისკენ მიჰყავს. სამასი წელიწადი მოკლე ვადა არ არის და ამიტომ ჩვენი სამშობლოს ყოველმა ერთგულმა შვილმა, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა, მხურვალე მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ დიდ დღესასწაულში. მაგრამ რას ნიშნავს სიტყვა დღესასწაული? დღესასწაულობს ის, ვინც მიანებებს თავს თავის ყოველდღიურს შრომას და ჭირ ვარამს და მიეცემა სიხარულსა და მხიარულობას, ვინც ამ დღეს მოიგონებს იმ ყველასათვის ცხად ამბებს, რომელიც მადლობისა და პატივის ცემის გრძნობას გაუღვიძებენ ადამიანს გულში. განა შეგვიძლიან ჩვენ, კავკასიის შვილთ, არ შეუერთოთ ჩვენი ხმა სრულიად რუსეთის ხმას, როდესაც იგი რომანოვთა გვარეულობის გამეფების დღეს დღესასწაულობს? განა შეგვიძლიან ჩვენ არ შეუერთდეთ მათ, როდესაც ყოველი ჩვენგანი თავის თავს რუსეთის ნამდვილ შვილად ჰგრძნობს, როდესაც ყოველი ჩვენგანი მადლობის მეტს რომანოვთა მიმართ არაფერსა ჰგრძნობს? ეს გრძნობანი და პატივისცემა ნება უნებურად გამომდინარეობენ იმის მოგონებით თუ რა გააკეთეს კავკასიელთათვის ამ სამასის წლის განმავლობაში რუსეთმა და მისმა მირონცხებულმა მეფეებმა.

ხუთასი წლის წინათ, როდესაც სათათრეთმა ევროპაში ფეხი მოიკიდა და კავკასიასაც შეებრძოლა რათა საქართველოც დაეპყრო, ქართველებმა პირველად მიმართეს ერთმორწმუნე რუსეთს, მაგრამ რუსეთს მაშინ არ შეძლო შემწეობა

აღმოეჩინა: მაშინ ის თითონ სუსტი იყო, რადგან დიდი ხანი არიყო, რაც თითონ განთავისუფლდა თათრებისაგან, რომელნიც 250 წლ. განმავალობაში ავიწროებდნენ და სისხლსა სწოვდნენ მას. პირველი დახმარება კავკასიას რუსეთის მეფემ იოანე IV აღმოუჩინა, როდესაც მან საკუთარი ჯარი გაგზავნა კაბარდოელთა დასახმარებლად, რომელთაც

ყირიმის თათრები ავიწროებდნენ. მდინარე თერგის ჩასართავთან რუსებმა ციხე ააგეს, სახელად ტერგი, რომელიც სპარსეთისგან იფარავდა მათ. სპარსელნი იმ ჟამად დაღესტნისა და კასპიის ზღვის ნაპირების ბატონებად ითვლებოდნენ. თევთორე იოანეს ძის დროს ქაროველთა მეფის ალექსანდრე II თხოვნით დაღესტანში თარგოელი შამხალის წინააღმდეგ ჯარი იყო გაგზავნილი, რომელმაც დაამარცხა იგი და საქართველო დაუძინებელ მტრისაგან იხსნა. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში კავკასიისა და რუსეთის დაახლოვება იქამდის მივიდა, რომ რუსების მეფის ბორისის ასული ელენე ქართლის მეფის გიორგის საცოლეთ იყო აღიარებული.

ამ დროიდან იწყება სპარსელთა შემოსევა კახეთში, ისეთი საზარელი შემოსევა, რომლის მოგონებაც კი თმებს ყალყზედ უყენებს ადამიანს; მაგალითად, კახეთის დედოფალი ქეთევანი სპარსეთის შახმა ტყვედ წაიყვანა და რაკი საკუთარი რჯულის უარისყოფა არ ინდომა, საშინლად აწამეს იგი: სხეულს გავარვარებულ რკინით ჰგლეჯდენ და დაწყლულებულ ადგილებზედ ნაღვერდალს აწყობდნენ. საქართველოს თავისუფლება მისმა მეფემ მუსულმანობის მიღებით იყიდა. საქართველომ მაშინაც მიმართა რუსეთს, სადაც იმ ჟამად რომანოვთა გვარეულობის პირველი მეფე თევდორე მიხეილის ძე მეფობდა, მაგრამ თვით რუსეთი შინაური უთანხმოების და პოლონელთაგან იმდენად იყო შერყეული, რომ რაიმე შეღავათის მოლოდინი მეტის მეტი იყო მისაგან. რუსეთს თითონა სდიოდა სისხლი და არც ჯარი, არც ფული მას არ გააჩნდა. მას თითონ საკუთარი საქმეები ჰქონდა მოსაწყობი. როგორც სჩანს სპარსეთსაც ეშინოდა რუსეთის, ვაი თუ სიმხეცის ჩადენისათვის მოსკოვის მეფემ შური იძიოსო და საჩუქრებით თავისი წარმომადგენელნი აფრინა რუსეთში. მიუხედავათ ამისა სპარსელნი მას შემდეგაც არა ერთხელ დაეცნენ საქართველოს და საქართველოს მეფეთ რამდენჯერმე. მოუხდათ რუსთა მეფის ხლება. ასე მიდიოდა საქმე მეთვრა-

მეტე საუკუნის დასაწყისამდე, როდესაც რუსეთის იმპერატორმა პეტრე დიდმა ზავი დასდო მეფე ვახტანგთან, გაილაშქრა სპარსეთის წინააღმდეგ და კასპიის ნაპირებზედ უარი ათქმევინა. 1723 წელს რუსეთის ხელში გადავიდნენ დერბენტი, ბაქო, ასტრაბადი, მაზანდერანი და გილიანი, ერთი სიტყვით, ის ადგილები, რომელზედაც სათათრეთსაც დიდი ხანი ეჭირა თვალი.

მეთვრამეტე საუკუნის ნახევარში ქართლი და კახეთი შეერთდნენ მძლავრი ირაკლის ხელში. ირაკლის დროს განათლებასა და ეკონომიურ მხარეს დიდი ყურადღება მიექცა. ამასთანავე საქართველო მხედრობითაც მძლავრი შეიქნა იმ ჟამად. იმ დროს იმერეთის მეფემ სოლომონმა თათრები და ლეკები შეაფერხა და ნება არ მისცა მათ იმერეთი აეოხრებინათ, თუმცა ქუთაისი მტრის ხელში იყო. რომ სამუდამოდ

განედევნა სათათრეთი თავის სამეფოდან, მეფე სოლომონმა
რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორეს მიმართა შემწეო-
ბისათვის, მით უმეტეს, რომ თვით ეკატერინე II ემზადებო-
და სათათრეთთან საბრძოლველად. სოლომონი სთხოვდა თვის
ქვეშევრდომთა სადღეგრძელოთ შეეერთებინა იმერეთი რუსე-
თისათვის. გადასწყვიტეს ერთად ეომნად სათათრეთთან. ამ
საერთო საქმეში ირაკლიც მოიწვიეს.

1771 წ. მეფე ირაკლი II რუსეთში მხლებლები გაგზავ-
ნა. მათ შორის მეფის შვილი ლეონი და კათალიკოსი ანტო-
ნი იყვნენ. მეფე ირაკლი II სთხოვდა ერთმორწმუნე რუსეთს
საქართველო შეეერთებინა. მხლებლები დიდის სიამოვნებით
მიიღეს, მაგრამ საქართველოს შეერთება კი დროებით გადა-
სდეს. ამავე დროს ჩრთილოეთ კავკასიაში რუსეთი ციხე სი-
მაგრეებს აგებდა, რათა მთიულთ შემოსევისაგან დაეფარა
რუსეთი. მთიული თათრები შესანიშნავ მხედართ-მთავარმა
სუვოროვმა დაამარცხა და მას შემდეგ ყირიმში გადაასახლეს
იგინი. მათმა გადასახლებამ და ციხე სიმაგრეების აგებამ
ჩრდილოეთ კავკასიაში, ძალიან შეაშფოთა მუსულმანთა ქვე-
ყნები და რუსეთს რომ ვერა დააკლეს რა, საქართველოს და-
უწყეს შურის ძიება, მით უმეტეს, რომ საქართველოს არა
ერთხელ მიუმართნია რუსეთისათვის შველისა და დახმარე-
ბის თხოვნით. ამ დროს მეფე ირაკლი მეორემ ხელმეორედ
აღძრა თვისი შუამდგომლობა საქართველოს შეერთების შე-
სახებ შემდეგი პირობებით: რუსეთი იღებს თვის მფარველო-

ბის ქვეშ კახეთისა და ქართლის სამეფოთ და იცავს მათ თა-
თართა და სპარსთა შემოსევისაგან, მეფე ირაკლისა და მის ჩამო-
ნავლობას სტოვებს საქართველოს ტახტზედ; მეფე ირაკლი კი
სიტყვას აძლევს, რომ არც თვითონ და არც მისი ჩამომავლების
მეფენი რუსეთის მტერთან ზავს არ ჩამოაგდებდენ და პირიქით,
მოვალეთა რაცხს თავის თავს, თუ საჭირო იქნება, შემწეობა
აღმოუჩინოს რუსეთს. ეს ხელშეკრულობა დიდის ზეიმით იქმ-
ნა დადებული ტფილისში 1784 წლის 22 იანვარს. ხელ-
შეკრულობას მეფე ირაკლიმ სიონში წირვის გადახდის შემდეგ
ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატრიცის წარმომადგენლების თა-
ნადასწრებით. ცხადია, რომ ეს ხელშეკრულობა მუსულმანთა სა-
მეფოთ არ უნდა მოსწონებოდათ და აკი იმიტომ რუსეთთან მე-
ტოქეობას კი ერიდებოდნენ, მაგრამ მთიულ მუსულმანთ კი აქე-
ზებდნენ საქართველოზედ. საჭირო იყო ლეკების დასჯა და რუსის
ჯარი, იმ ჟამად თფილისში ჩამოსული ირაკლის მხედრობას
შეუერთდა და მდინარე ალაზნის ნაპირებზედ დაამარცხა იგინი.
სათათრეთი თავისას მაინც არ იშლიდა და რაკი იქ ვერა-
ფერს გახდა, მეორე მხრიდან სცადა ბედი: მან განჯის ხანს
ჩააგონა ჩამოშორებოდა საქართველოს და დაღესტნის ლეკე-
ბი კი კვლავ გააგულიანა, რომ შესეოდნენ საქართველოს.
ეს შემოსევა ისეთი ძრიერი გამოდგა, რომ რუსის ჯარი,
რომელიც იმ ჟამად საქართველოში იყო დაბანაკებული საკმა-

რისი ვერ გამოდგა რომ მტერი ეძლია. მალე რუსეთსა
და სათათრეს შორის ომი დაიწყო. ამ ომში კავკასიის მხედ-
რობაც იღებდა მონაწილეობას; კავკასიაზედ სათათრეთმა დაჰ-
კარგა ქ. ანაპა, რომელიც კვლავ დაუბრუნდა სათათრეთს იმ
პირობით, რომ მას საქართველოსთვის თავი დაენებებინა. ამ
ომის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიის მინდვრები შავი ზღვის
ყაზახებს დაუთმეს და ქალაქი ეკატერინოდარი ააგეს. რამდენიმე
ხნით თათრებმა საქართველოზე ხელი აიღეს. მაგრამ არ ეძი-
ნა მის მეორე მტერს — სპარსეთს. იგი სხვა და სხვა დაპირებებით
თვალს უხვევდა საქართველოს და სცდილობდა რუსეთისთვის
აეშორებინა იგი, მაგრამ როცა დაინახეს, რომ თვის გან-
ზრახვას ვერ განახორციელებდნენ, საქართველოში შემოსე-
ვისთვის მზადებას შეუდგნენ.

რუსეთის ჯარმა ვერ მოასწრ საქართველოში მოსვლა
და ქ. თფილისი აოხრებულ იქმნა მათ მიერ: მიწასთან გაა-
სწორეს მრავალი შენობანი და მრავალი ცეცხლს მისცეს;

რაც კი რამ ებადათ მცოვრებლებს, ყველაფერი გაიტაცეს
და მრავალი ქართველი გასწვიტეს. რუსეთმა, რომელსაც პი-
რობა ჰქონდა მიცემული, რომ საქართველოს დაიფარავდა
მტრისაგან, ეს შემოსევა ომის გამოცხადებით ჩასთვალა და
თავისი ჯარით სპარსეთის შახისაკენ გაემართა: კვლავ წაერ-
თვა სპარსეთს იმის წინ დაბრუნებული კასპის ზღვის პირად
მდებარე სახანოები და განჯის ხანმა კვლავ გადასცა თავისი
სატახტო ქალაქი მეფე ირაკლი მეორეს.
იმპერატრიცა ეკატერინე II სიკვდილის შემდეგ, იმპერატორ-
მა პავლე I ზავი დასდო სპარსეთთან და წართმეული ადგი-
ლები კლავ დაუბრუნა მას. სპარსეთმა ისარგებლა ამ შემ-
თხვევით და კვლავ დაუწყო საქართველოს წიოკობა. 1799 წ.
რუსის ჯარი კვლავ მოვიდა თბილისში და მცხოვრებლებმა
თავისუფლად ამოისუნთქეს, მით უმეტეს, რომ იმ ჟამად ლე-
კები კახეთს ესეოდნენ და საჭირო იყო მათი შეფერხება.
ქართველთა და რუსთა მხედრობამ იორის ნაპირებზედ ზარი
დასცა მთიულებს და მათი ბელადიც დაიღუპა ამ შეტაკების
დროს. მალე მეფე გიორგი XII-ც გადაიცვალა და საქარ-
თველო, საგანგებო მანიფესტით, 1881 წ. იმპერატორი ალექ-
სანდრე I დროს, სრულიად შეუერთდა რუსეთს. ეს შეერთება
მცხოვრებთა სურვილისამებრ მოხდა, რომლებსაც საგანგებოდ
გამოგზავნილი პირნი შეეკითხნენ. ამ დღიდან რუსეთი და
საქართველო ერთის ცხოვრებით ცხოვრობენ და ერთის
ინტერესებით იქმნენ გამსჭვალულნი. 1803 წ, ზაქათალის
ლეკები დაუმორჩილდნენ რუსეთს და შეუერთდნენ რუსეთს
იმერეთი, სამეგრელო და გურია. დაპყრობილ იყვნენ გან-
ჯისა, ყარაბახისა, შეტისა, კუბის და ბაქოს სახანოები და
რუსეთის ქვეშერდომობა მიიღეს ჩრდილოეთ კავკასიის კაბარ-
დოელებმა.

1813 წ. სპარსეთთან ხელშეკრულობის ძალით სამუდამოთ

გადავიდა რუსეთის ხელში კასპის ზღვის პირად მდებარე ადგილები. თორმეტი წლის შემდეგ, იმპერატორ ნიკოლოოზ I დროს, სპარსეთი კვლავ შეუდგა ომისათვის მზადებას და დიდის ჯარით ქ. შუშას ალყა შემოარტყა, მაგრამ შუშის დამცველნი მედგრად დახვდნენ მტერს. მალე ომი განჯასთანაც დაიწყო, იმ განჯასთან, რომელსაც იმპერატრიცა ელისაბედ ალექსის ასულის პატივსაცემლად ელისავეტპოლი ეწოდა. ეს ომი იმდენად მარჯვე გამოდგა რუსეთისათვის, რომ სპარსელნი

არაქსს გასცილდნენ და თავს უშველეს. ჩვენი მხედრობა, რომელიც რუსებისა, ქართველებისა და თათრებისაგან შესდგებოდა კვალ და კვალ დაედევნა მათ და საშინლად დაამარცხა, წაართვა ერევანი, არდებილი, თავრიზი და თურქმანჩაიში ხელი მოაწერინა ხელშეკრულობაზედ, რომლის ძალითაც რუსეთს ორი ახალი სახანო შეუერთდა: ერევნისა და ნახჩიევნისა. ცხადია, რასაკვირველია, რომ ამ ხელშეკრულობაზედ ხელის მოწერა სამძიმო იყო სპარსელთათვის და აკი იმიტომაც ჩვენი ელჩი თეგერანში, შესანიშნავი მწერალი გრიბოედოვი, მოჰკლეს. მისი გვამი მალე ქ. თბილისში მოასვენეს და ამ ჟამად წმ. მამადავიდის მთაზედ ასაფლავია. ამისთანა გამარჯვება სპარსეთზედ გულს უკლავდა სათათრეთს და მალე მათთანაც მოუხდა რუსეთს შეტაკება. ეს უკანასკნელი ევროპას და კავკასიაში სწარმოებდა და ჩინებულად დასრულდა რუსეთისათვის. კვლავ აიღეს რუსებმა ანაპა, ახალქალაქი, ახალციხე, ერზრუმი... თათრები იძულებული იქმნენ ელშეკრულობა დაედოთ რუსეთთან, რომლის ძალით შავი ზღვის პირად მდებარე ადგილები ანაპიდან დაწყობილი წმ. ნიკოლოოზის ნავთსადგურამდე რუსეთის ხელში გადავიდა.

მას შემდეგ რაც მთელი კავკასია გაერთიანებული იქნა და მისი საზღვრები იმდენად გამაგრდა, რომ მეზობელი მტერი საშიში აღარ იყო, იმავე იმპერატორ ნიკოლოოზ პავლეს ძის დროს მთიულთა დამშვიდებას შეუდგა რუსეთი. მთიულნი, უმეტესად ჩეჩნები და დაღესტნელნი ერთმორწმუნე თათრებს და სპარსელებს თანაუგრძნობდნენ და როგორაღაც ვერ ეგუებოდნენ ახალ წყობილებას კავკასიაში. ამის წყალობით მათ შორის დიდი გასავალი ჰქონდა იმამთა ქადაგებას, რომელნიც ყველა მაჰმადიანთ ქრისტიანების წინააღმდეგ საომრად იწვევდნენ. მთიულნი გაუნათლებელნი იყვნენ და მათი ქრისტიანთა წინააღმდეგ ამხედრება ძნელი არ იყო. მათი სიმამაცე კი ხელს უშლიდა რუსეთს, რომ რაც შეიძლება ჩქარა მიეყო მას ხელი სამოქალაქო ცხოვრების მოწყობისთვის. მათ ბელადათ მთიული შამილი გამოდგა, რომელიც ოცნებობდა მთელი კავკასიის მთიულები შეერთებინა თავის ხელქვეით. მთიულთა დიდს უპირატესობათ იყო ის რომ მათ თავისი სამშობლოს ყოველი კუთხე და ხრამი ჩინებულად იცოდნენ, რუსებს კი ყოველი ნაბიჯი მთებში ძვირად უჯდებოდათ.

ამის გარდა სათათრეთთან ომში ზოგიერთი მარცხი რუ-
სის ჯარისა, უფრო აგულიანებდა მთიულებს. დიდი ხანი
გაგრძელდა ეს ომი, რომლის დროს რუსეთს მიხტულის,
ავარის, კიურონის და კაზიკუმუხის ხანები უჭერდნენ მხა-
რსა. ყოველ მხრიდან შევიწროებული შამილი გუნიბის
აულს შეეკედლა. მალე გუნიბიც დამარცხდა. შამილმა
იმპერატორს ალექსანდრე II ნიკოლოზის ძეს შეჰფიცა ერთ-
გულებაში და ამასთან ერთად მთლად ამღოსავლეთი კავკასია
დაპყრობილ იქმნა რუსის ჯარის მიერ. კავკასიის დასავლეთი
ნაწილის დამშვიდებასაც დიდი ხანი არ დასჭირდა: თითქ-
მის ხუთასი ათასი მთიული, რომელთაც არ მოისურვეს
რუსეთის ქვეშერდგომობის მიღება სათათრეში გადასახლდა;
მათი ერთი ნაწილი მდინარე კუბანის ნაპირებზედ დასახლდა.
კავკასიის ომი, რომელიც თითქმის ორმოცდა ათი წელიწა-
დი გაგრძელდა, დასრულდა.

უკანასკნელად რუსეთმა კავკასიაში შეიძინა ბათუმისა
და ყარსის ოლქები, რომელნიც რუს-სათათრეთის ომის შემ-
დეგ (1877-1878 წელს) შეიერთა რუსეთმა.

ამით რუსეთმა მრავალ ფეროვანი კავკასიის გაერთიანება
მოახერხა. ამ ომებსა და ჯაფაში რუსეთთან ერთად დიდი
მონაწილეობა მიიღეს კავკასიის მცხოვრებლებმა, განურჩევლად
ეროვნებისა და სარწმუნოებისა. მათ შორის დიდათ ისახე-
ლეს თავი შემდეგმა გმირებმა: თავადმა ციციანოვმა, ბაგრა-
ტიონმა, ამილახვარმა, თავადმა ბებუთოვმა, თავ. არგუტინ-
სკი-მხარ გძელმა, ტერგუკასოვმა, ლორის მელიქოვმა, ლაზა-
რევმა, შელკოვნიკოვმა, ალდატიეკოვმა, შაპშიევ აბდულ
მუსლიმ-ხან შამხალ თარგოელმა და მრავალმა სხვამ.
ამის და მოუხედავათ კავკასიაში არ არის არც ერთი ისეთი
კუთხე, ისეთი ნაჭერი მიწისა რომელიც რუსის სისხლით არ
იყოს მორწყული და რომელიმე რუსს თავისი სიცოცხლე
მსხვერპლად არ შეეწიროს მისთვის. აი რა ფასით იყიდა რუ-
სეთმა კავკასიის მცხოვრებთა მშვიდობიანობა და მათი მშვი-
დობიანი შრომა.

მაგრამ მარტო ომით არ იკვებება ქვეყნის კეთილ
დღეობა: ეს კეთილ-დღეობა ხალხის მშვიდობიანი განვითა-
რებისაგან არის დამოკიდებული. ამასაც მიაქცია რუსეთმა თა-
ვისი ყურადღება.

რუსეთის განმანათლებელი მოღვაწეობა კავკასიაში მჭიდროთ

არის დაკავშირებული ორი დიდი კაცის სახელთან: თავადი
ვორონცომისა, რომლის ძეგლიც ტბილისის შუა გულს არის აღ-
მართული და დიდი მთავარ მიხეილ ნიკოლოზისა. იმათ ჩინე-
ბულად ესმოდათ, რომ კავკასია, რომელიც რუსეთს შეუერთდა
სსაჭიროებდა განათლებას და იმიტომ მიაქციეს დიდი ყურად-

დღება ხალხის განათლებას. მათი დაწყებით რუსეთის მთავ-
რობა არც უწინ, და არც ეხლა ზოგავს თავის სარჩოს კავკა-
სიის ახალგაზდობის განათლებისთვის. საქმე იმითი დააწო,
რომ კავკასიაში დაბადებულთათვის სტიპენდიები დაარსდა
რუსეთის სასწავლებლებში, მერმე თვით კავკასიაში დაარსდა
რამდენიმე ქალთა და ვაჟთა სასწავლებელი და მას შემდეგ
ხომ მთელ კავკასიას მოეფინა სახალხო და სამოქალაქო სას-
წავლებლები, გიმნაზიები, პროგიმნაზიები, სასულიერო სასწავ-
ლებლები, სემინარიები, სამეურნეო, სატეხნიკო, სამხედრო
და სხ. სასწავლებლები. კავკასიის განათლების საქმეში ბევრს
მიაღწია რუსეთმა, თუმცა იაფად არ დაუჯდა მას ეს.

სამხედრო, კერძო, სომხების სამრევლო და მუსულმანების
სასწავლებლები რომ არ მივიღოთ მხედველობაში, ამ ჟა-
მად კავკასიას 3500 სასწავლებელი აქვს, რომლის შენახვა
რუსეთის ხაზინას თორმეტ მილიონ მანათზედ მეტი უჯდება
წელიწადში. ამას რომ მიუმატოთ რუსების დახმარებით დაარ-
სებული განმანათლებელი დაწესებულებანი, მაგალ., მუზე-
უმები, საზოგადოებანი, რომელთ კავკასიის ბუნებისა
თუ სიძველების შესწავლა აქვს მიზნათ დასახული, წიგნთ
საცავნი, სამკითხველოები, თეატრები და სხ. მაშინ ცხადი იქნება
რა ზომები მიიღო რუსეთმა, რომ კავკასიაც ჩაება მას რუსეთის
მოქალაქეობრივ ცხოვრებაში. ამ ჟამად ხალხის განათლებაში,
სპეციალურ ცოდნათა გავრცელებაში, სამხატვრო სასწავლე-
ბლების, მუზეუმების, სამკითხველოების და სხ. დაწესებულებათა
შენახვაში თვით ხალხიც იღებს მონაწილეობას. განათლების
გავრცელების აუცილებლობა იმდენად ცხადი გახდა თვით
ადგილობრივ მკვიდრთათვის, რომ დიდის სიამოვნებით ხარ-
ჯავენ დიდ თანხებს თვისი შვილების გასანათლებლად და
არა თუ დახმარებას უწევენ მთავრობას, თავის საკუთარი
სურვილითაც იწყებენ განმანათლებელ საქმეებს. ამ უკანას-
კნელ წლების განმავლობაში კავკასიის მკვიდრმა მცხოვრებ-
ლებმა შეიგნეს უმაღლესი სასწავლებლის საჭიროება და იმდე-
ნი თანხან გადასდეს მის დასაარსებლად, რომ ამ ჟამად ძვირ-

ფასი პოლიტეხნიკური ინსიტუტის დაარსება კავკასიაში უზ-
რუნველ-ყოფილად უნდა ჩაითვალოს. მკვიდრ მცოვრებთა
ამისთანა გულმოდგინეობა ღირსი გახდა იმისა, რომ ი მ პ ე რ ა -
ტ ო რ მ ა ნ ი კ ო ლ ო ო ზ II კეთილ ინება და მთავრობას ნე-
ბა დართო კავკასიაში უმაღლესი სასწავლებელი გაესხნა.

რუსეთის მთავრობა ავრცელებს რა თავის საკუთარ გავ-
ლენას კავკასიაში, რუსული ენის შესწავლასთან ერთად
ასწავლის მკვიდრ მცხოვრებთა ახალთაობას საკუთარ, სამ-
შობლო ენას და თავის წარსულს, განურჩევლად ეროვნებისა.
ჩვენი მთავრობა მოსწავლეთა ერთ მეათედს ანთავისუფლებს
სწავლის ხარჯისაგან, აარსებს სტიპენდიებს და ხელს უწყობს
იმ დაწესებულებათ, რომელთაც ახალთაობის სწავლაში და-
ხმარება მიზნათ აქვთ გახდილი.

როგორც სწავლა-აღზრდაში კავკასიის შკოლებში ერთა შორის გარჩევა არ არის, აგრეთვე სარწმუნოების კითხვებში რუსის მთავრობა არ არჩევს ერთი სარწმუნოების ხალხს მეორესაგან და დიდის პატივით ეპყრობა ყოველ სარწმუნოებას კავკასიაში. აქ ნება უნებურად გვაგონდება ის ცრუ დაპირებანი, რომლითაც სპარსეთი უმანსპინძლდებოდა საქართველოს, ოღონდ მას ისლამი მიედო და წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა კი საქართველო სათათრეთისა ან სპარსეთის ხელში ჩავარდებოდა რა ტანჯვასა და წამებას აყენებდნენ ქართველებს, თუ ისლამის მიღებაზედ უარს განაცხადებდნენ. კავკასიის მცხოვრებთ არ შეუძლიანთ არ დააფასონ ეს სარწმუნოებრივი თავისუფლება, როდესაც მთელი კავკასია მაჰმადიანთ მიერ დანგრეულ და აოხრებულ ქრისტიანთ ეკლესია მონასტრებით არის სავსე, მაშინ როდესაც მაჰმადიანნი თავისუფლად აგებენ საკუთარ მეჩეთებს.

ამ სარწმუნოებრივ თავისუფლებასთან ერთად, რომლის წყალობით ყოველ კავკასიელს შეუძლია საკუთარ ენაზედ ადიდოს თავისი ღმერთი, რუსეთმა და მხოლოდ მან მისცა კავკასიას ნება მშვიდობიანი შრომით თავისი სამშობლო წასწიოს წინ კულტურულის გზით. რუსეთთან შეერთებამდის კავკასია თითქმის მუდმივი შეჯახებისა და ომის ასპარეზათ იყო გადაქცეული. მთელი თავისი ძალ-ღონე კავკასიელს საკუთარი კერის დაცვისთვის უნდა შეელია და რასაკვირველია, მას შეძლება არა ჰქონდა მშვიდობიან შრომისათვის მოეკიდა ხელი. ამ ჟამად კი ხალხის შრომის ყოველი

დარგი განვითარდა და ამასთან ერთად ბევრმა ახალმა დარგმაც იჩინა თავი, იმისთანა დარგმა, რომელნიც ახალი კულტურული და ეკონომიური ცხოვრებით არის გამოწვეული. რუსეთს ამ შემთხვევაში მარტო მშვიდობიანი შრომის დაცვაში კი არ მიუძღვის ღვაწლი, მან ბევრი რამეც შეასწავლა ადგილობრივ მცხოვრებლებს. ავიღოთ, მაგ. ხვნა თესვის საქმე, გილობრივ მცხოვრებლებს. ავიღოთ, მაგ. ხვნა თესვის საქმე, რომელსაც ამ ჟამად კავკასიის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი ნაწილი მისდევს: შუა რუსეთიდან ჩამოტანილი სამეურნეო იარაღი ადგილობრივ მცხოვრებლებს შეძლებას აძლევს უკეთ მოაწყოს თავისი საქმე და შედარებით უწინდელზედ მეტი მოგება იქონიოს. მარტო ყუბანის ოლქი საშუალოთ 12-15 მილიონ კოდს ხორბალს იძლევა, რომლის წყალობით არა თუ თვითონ იკვებება, კავკასიონის ქედს იქით, რუსეთში და საზღვარ გარეთაც კი გააქვს.

მეღვინეობაში ხომ რუსების გავლენით ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დიდი ნაბიჯი წასდგეს წინ: ჩამოიტანეს ახალი ვაზი, გაჩნდა მრავალი წამლეულობა ვაზის ავათმყოფობის წინააღმდეგ, შემოიღეს ახალი მანქანები ყურძნის დაწურვისათვის და სხ, ყველა ამის წყალობით კავკასია წელიწადში ათ მილიონ ვედრა ღვინოს იძლევა. თანდათანობით

გაჩნდა ქარხნები არყისა და კონიაკის გამოსახდელად და ამ ჟამად ამ გვარი ქარხანა თითქმის 3500 კავკასიაში. ჩრდილოეთ კავკასიაში წარსული საუკუნის სამოც და ათიან წლებში ჩაყარეს ვაზი და ამ ჟამად თითქმის 600 დესეტინა მიწა აქვს მშვენიერ ვენახებს დაკავებული. მეღვინეობისა და მევენახეობის საქმეში დიდი სამსახური მიუძღვის საუფლისწულო მამულების მმართველობას, იმ მმართველობას, რომელსაც ძალიან დიდი კავშირი აქვს იმპერატორთა გვარეულობასთან. აბრეშუმის მოყვანა, რომელიც ჩვენმა წინაპრებმაც იცოდნენ, სულ ამ უკანასკნელ დროს განვითარდა იმის წყალობით, რომ იმართება სააბრეშუმეულობის გამოფენები და ამ დარგს ასწავლიან სააბრეშუმეო და სხ. სასწავლებლებში. ამ ჟამად თითქმის 400 სასწავლებელში ასწავლიან მეურნეობის ამ დარგს და ას ოც ქარხანაში ამუშავებენ აბრეშუმს.

ბამბეულობასაც მისდევდნენ ჩვენი წინაპრები. კავკასიაში ეს დარგი ინდოეთიდან გადმოვიდა, მაგრამ ამის წყალობით, რომ კავკასია მუდმივ ომებს ეწეოდა, მშვენიერი მიწის მოსარწყავი არხები დაინგრა და Iოდესღაც ნოყიერი მინდვრები გა-

მოიფიტა. ამის წყალობით ეს დარგიც ძალიან დაქვეითდა. მარტო ამ ოცი წლის წინათ ხელახლათ გაიღვიძა ხალხში ამ დარგისაკენ ლტოლვილებამ იმის წყალობის რომ შეუდგნენ მინდვრების მორწყვას და ამერიკიდან თესლეულობის გამოწერას. ამ ჟამად მეურნეობის ამ დარგს დიდი გასავალი აქვს მოპოვებული, მთავრობა კი დიდს დახმარებას უწევს ხალხს მინდვრების მორწყვითა და ამ დარგის კარგს დონეზედ დაყენებით.

საქონლის მოშენებას ძველის ძველად მისდევდა კავკასიის მთა. მაგრამ საჭირო იყო ისე მოგვარებულიყო საქმე, რომ ნახირის პატრონი ერთ მშვენიერ დღეს ცარიელზედ არ დარჩენილიყო, თუ ვინცობაა საქონლის ჭირი ან რაიმე სხ. ავათმყოფობა გაჩნდებოდა მთაში. ამ მიზნით რუსეთის მთავრობამ შემოიღო საბეითლო მმართველობა, რომელიც წელიწადში 1.200 ათასი მანათი უჯდება მას. ამ დაწესებულებას ჰყავს მუდმივი ბეითლები ყოველ საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში, რომელთა მოვალეობას საქონლის მარტო წამლობა კი არ შეადგენს, არამედ ისინი მოვალენი არიან ეცადნენ, რომ რაიმე სენი ერთი სოფლიდან მეორეში არ გადავიდეს და ამ რიგათ არ გავრცელდეს. გახსნილია მრავალი ლაბარატორიები, რომლებშიაც სხ. და სხ. სენის მიზეზებს იკვლევენ, ამზადებენ წამლეულობას, და სხ.

საქონლის მოვლა მოშენებასთან მჭიდრო კავშირი აქვს ყველის და ერბოს გაკეთებას, საქონლის ტყავის დამუშავებას, მატყლის ვაჭრობას და სხ. ამიტომ მთავრობის დახმარებამ საქონლის მოვლა მოშენებაში დიდი შეღავათი მისცა ხალხს ყველა ამ დარგშიც.

სხვა და სხვა მადნეულობის დამუშავებაც იცოდნენ

უწინ კავკასიელებმა, მაგრამ არასოდეს მეურნეობის ამ დარგს არ მიუღწევია იმ ზომამდის, რომელსაც ამ ჟამად მიაღწია მან. დღეს 28 მადანში წელიწადში 20 მილიონ ფუთ თითბერს ამუშავებენ. ნურაფერს ვიტყვით სხვა მადნებზედ, მაგ., ტყვიისა, ვერცხლისა, რკინისა, მარგანეცისა და სხ. ეს უკანასკნელი ფოთსა და ბათუმზე წელიწადში 40 მილ. ფუთი გააქვთ. ქვის ნახშირი წელიწადში 4 მილ. ფუთი გააქვთ კავკასიიდან. ქვისნახშირის დამუშავება ხომ სულ ახალი საქმეა კავკასიაში. ნავთი, როგორცა სჩანს, უწინდელ კავკასიელბს ნანახი ჰქონდათ, მაგრამ არ იცოდნენ როგორ უნდა

მოეხმარათ. ამ ჟამად კი იმის წყალობით, რომ შემოღებულია მრავალი ახალი მანქანა, ნავთის წარმოებას დიდი ზომები აქვს მიღებული კავკასიაში და წელიწადში თითქმის 50 მილიონ ფუთ ნავთს ამუშავებენ კავკასიაში.

სხ. და სხ. ხელობანი, რომელნიც უწინაც იყვნენ გავრცელებულნი კავკასიაში, დღეს მთავრობის დახმარებით ძალიან განვითარდნენ და ბევრ იმათ ნამუშევარს დიდი გასავალი აქვს რუსეთსა და საზღვარ გარეთაც კი. ვინაიდგან ამ ხელობებს სოფლის ხალხი თავისუფალ დროს მისდევს, ის ხელს არ უშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას და გარდა ამისა საწყალ გლეხს შეძლებას აძლევს ერთი ნაწილი მაინც თავის მონაგებისა შავი დღისთვის გადასდოს. ამ მხრივ ამ ხელობებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. ახლა საქარხნო, და საფაბრიკო წარმოებას რომ მიუბრუნდეთ, აქაც არ შეგვიძლია არა ვსთვათ, რომ ეს დარგი წარმოებისა თითქმის სრულიად უცნობი ხილი იყო კავკასიისთვის და სუყველაფერი რაც ამ მხრივ საჭირო იყო მისთვის სპარსეთიდან და სათათრეთიდგან გამოქონდათ, თუმცა ამ ორ ქვეყანას ეხლაც არა აქვს წარმოების ეს დარგი განვითარებული. ამით შეგვიძლიან ვიხელმძღვანელოთ, თუ მათ ნაწარმოებთა დაფასებას შეუდგებით.

რუსეთის მთავრობა დიდი სიამოვნებებით ეგებებოდა კავკასიის ხალხთა სურვილებს და იაფ კრედიტს უხსნიდა მათ. ამ რიგათ რუსეთის მთავრობის სურვილით არსდება კავკასიაში ბანკები, იაფი კრედიტის საზოგადოებანი და სხ. საიდანაც სულ მცირე პროცენტით ხალხს შუძლიან ისესხოს ფული, ამ ჟამად იაფი კრედიტის შეძენაში თვით საზოგადოება დიდს უნარს იჩენს. უწინ ფულის სესხი მევახშესაგან შეიძლებოდა, რაც თითქმის ბატონყმობას ბადებდა სოფლად. ამ შემთხვევაშიც რუსის მთავრობას დიდი სამსახური მიუძღვის ადგილობრივ მცხოვრებისადმი: მან განავითარა მეურნეობა, გაამრავლა წვრილი მესაკუთრენი და ადგილობრივ მცხოვრებთ პატიოსანი შრომის შეძლებას აძლევს.

სხ. და სხ. სანოვაგის და სიმდიდრის დამუშავება იმ ზომამდის მივიდა კავკასიაში, რომ ზედ მეტი საქონლის კავკასიიდან გატანა შესაძლებელი შეიქმნა. გაფართოვდა ვაჭრო-

ბა თვით კავკასიაშიც და სხვა ქვეყნებთანაც. ამ უკანასკნელმა გარემოებამ გამოიწვია გზების საჭიროება. რუსეთის მთავრო-

ბამაც არც ამ შემთხვევაში მოიყრუა ყური და ამ საჭიროებასაც მილიონების დახარჯვით გასცა პასუხი. გაიყვანა გზატკეცილები და რკინის გზები რომელთა გაყვანა ადგილობრივ მცხოვრებთათვის შეუძლებელი იქნებოდა. ვაჭრობა და სხ. და სხ. წარმოებაზედ ნაკლები მნიშვნელობა არა ჰქონდა გემებით მიმოსვლას კასპისა და შავს ზღვაზედ და ამიტომ რუსის მთავრობა ამ შემთხვევაშიც არაფერსა სზოგავდა. იმის შემდეგ როცა მთელი მხარე მან შეაერთა და მჭიდროთ დააკავშირა გზების გაყვანით და ვაჭრობა მრეწველობის განვითარებით ეს საქმე ტელეგრაფისა და ტელეფონის ქსელებით დააგვირგვინა. ყველა ამან არა თუ გააუმჯობესა კავკასიის კეთილ დღეობა ათასსა და ათი ათასს ადგილობრივ მცხოვრებს სამუშაოს შოვნა გაუადვილა.

გადავიდეთ ახლა სხვა კითხვაზე, ვნახოთ როგორა მართავდა რუსეთი კავკასიას.

უწინ კავკასიის მმართველობაში ერთგვარობა არ იყო: ყოველი სახანო და სამეფო თავისებურად მართავდა თავის საქმეებს. ახლა კი ყველა მცხოვრები, განურჩევლად ეროვნებისა სახელმწიფოს ერთ ძალას ემორჩილება, რომლის წარმომადგენელიც მის იმპერატორებითი დიდებულების მოადგილეა. თუმცა კავკასიის საქმეები ისე არ იმართება, როგორც იმპერიის სხვა ნაწილებში, მაგრამ ეს გამონაკლისი კავკასიის საკეთილდღეოთ არის შემოღებული. რუსის კანონი არ არჩევს რუსს კავკასიელისაგან და ყველა მათ თანასწორი უფლებები აქვთ, გარდა კარანოგაიცებისა, კოლმიკებისა, რომელთაც სხვა უფლებები იქვთ მინიჭებული. ამ თანასწოროობამ გამოიწვია უკანასკნელ დროს ის გარემოება, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს მიენიჭათ უფლება სახელმწიფო სათათბიროში და საბჭოში საკუთარი წარმომადგენელი იყოლიონ. ეს უკანასკნელნი ახალ კანონების დამუშავებაში დიდ მონაწილეობას იღებენ და ადგილობრივ საჭიროებათა შესახებ თათბირი შეუძლიანთ.

კავკასიის ქალაქებს თვითმართველობის უფლება აქვთ მინიჭებული რუსეთის ქალაქებთან თანასწორად. იმედია ახლო მომავალში სოფლებშიც შემოიღებენ თვითმართველობას და ადგილობრივ საჭიროებას თვით ხალხი გაუძღვება.

რუსეთის ხელმწიფენი არასოდეს არ არჩევდნენ კავკასიე-

ლებს რუსებისაგან და თუ რაიმე რეფორმას მოახდენდნენ, ახალი ზომა კავკასიასაც შეეხებოდა ხოლმე.

მაგალითად, 19 თებერვლის 1861 წლ. დიდი რეფორმა, რომლითაც გლეხობა განთავისუფლდა ბატონყმობისაგან, იმ-

პერატორის ბრძანებით კავკასიის გლეხობაზედაც გავრ-
ცელდა.

ალექსანდრე II ვერ მოახერხა დროებით ვალდებულ ზლეხების განთავისუფლება კავკასიაში სხვა და სხვა პირობ-ბისა და გარემოების წყალობით. მაგრამ სანაცვლოთ მისმა შვილის შვილმა, იმპერატორმა ნიკოლოოზ II დაამთავრა ეს საქმე. მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან დროებით ვალ-დებული გლეხები აღარ არიან კავკასიაში. ამ ჟამად ისინი მე-საკუთრე გლეხებთან თანასწორად ჰფლობენ თავის ნადელებს, ამ უკანასკნელის ფასი კი თვით ხაზინამ გადიხადა, ე. ი. რუ-სის გლეხმა, კავკასიის გლეხობამ კი ეს თანხა დიდის ხნის ნმავლობაში უნდა იხადოს ნაწილ ნაწილად.

1867 წ. იმპერატორმა ალექსანდრე II კავკასიაში შე-მოიღო ახალი სასამართლოები: სასამართლო პალატა, საოლქო სასამართალო და მომრიგებელი მოსამართლენი; სასამართლოს სა-ფუძვლად დაედო სამართალი სწოაფი, და ყველასათვის თანასწორი განურჩევლად წოდებისა, შეძლებისა და ჩამომავლობისა; ამით სასამართლოს მხრივაც კავკასიელნი ერთ და იგივე პირობებ-ში იყვნენ ჩაყენებულნი რუსეთის მკვიდრთ მცხოვრებლებ-თან.

ამ მოკვლე მიმოხილვიდან ყველა იმისა, რაც გააკეთეს რუსეთ-მა და მისმა მეფეებმა კავკასიისათვის, ნათლად სჩანს, რომ კავ-კასია არასოდეს არა ყოფილა რუსეთისათვის გერად. კავკა-სიელთ თავისუფლად შეუძლიანთ თავი მოჰქონდეთ იმით, რომ რუსეთის მონარხებს ისინიც უყვარდათ მუდამ რუსებთან თანასწორად. კავკასიელთ კარგათ უნდა ახსოვდეს პირადი კეთილი განწყობილება რუსეთის მონარხებისა, როცა დრო გამოშვებით კავკასიას ეწვეოდნენ ხოლმე, განსაკუთრებით უნდა ახსოვდეთ იმპერატორი ალექსანდრე III და მის სახლობის მოწვევა. არ შეუძლიანთ კავკასიელთ დიდის პატივისცემით არ მოიგონონ ის რუსები, რომელნიც ხელმწიფეთა ბრძანე-ბით მოდიოდნენ ხოლმე კავკასიაში, რათა ადგილობრივი მცხორებნი დაეცვათ მტრისაგან თუ შინაურ უთანხმოებისა-გან, ის რუსები, რომლებიც თავისი სისხლით რწყავდნენ

კავკასიის მიდამოებს, ის რუსები, რომელთაც თან მოჰქონ-დათ ცოდნა, ხერხი და შრომის უნარი, რომელნიც, თავის საკუთარ სამშობლოს მოწყვეტილნი, ადგილობრივ მცხოვრებ-ლებთან ხელი ხელ ჩაკიდებულნი იღვწოდნენ ადგილობრივ საჭიროებათათვის, ის რუსები, რომელნიც სამუდამოთ სახლ-დებოდნენ კავკასიაში, ითვისებდნენ მათ ზნე ჩვეულებას და მათივე ცხოვრებით ცხოვრებდნენ და მკვიდრ მცხოვრებლებს გულში უნერგავდნენ რუსი ხალხის პატივისცემას. ყველა ეს მოგონება ძვირფასია კავკასიელისათვის მით უმეტეს უკანასკ-ნელ რევოლიოციონურ ქარტეხილის შემდეგ, რომლის დრო-საც კავკასია პატივით გამოვიდა ამ მძიმე მდგომარეობიდან და პატიოსანი და ხელმწიფის ერთგულის სახელი მოიხვეჭა.

მან კარგათ იცის, რომ მისი ხსნა, მისი კეთილ-დღეობა, მისი ბედი მჭიდროთ არის დაკავშირებული რუსეთთან და მის გარედ კავკასიელს ხსნა არა აქვს.

ამ მჭიდრო კავშირით კავკასიელს თავი უნდა მოჰქონდეს და რომანოვთა გვარეულობის მადლობელი უნდა იყოს. როგორ არ უნდა იდღესასწავლოს მან ეს დღე რომანოვთა გამეფებისა, როგორ არ უნდა ილოცოს მან ამ დღეს კავკასიის ყველა ენებზედ, საკუთარი ჩვეულებისა და საეკლესიო კანონების მიხედვით, რათა უზენაესმა მრავალჟამიერ ამყოფოს რომანოვთა გვარეულობა ღა დღეგრძელობა მიანიჭოს აწინდელ იმპერატორს ნიკოლოოზ II და მის მემკვიდრეს, დიდს მთავარს, ალექსი ნიკოლოოზის ძეს.

კავკასიელი.